ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 12 02 2018 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის
ბრძანება № 8

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობა და საქმიანობის წესი დანართის შესაბამისად.
2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის დაევალოს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ქორეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი) + მეუფე იაკობი

დანართი

აკადემიური საბჭოს შემადგენლობა და საქმიანობის წესი

მუხლი 1. აკადემიური საბჭო

1. რექტორთან იქმნება სათათბირო ორგანო აკადემიური საბჭო. აკადემიური საბჭოს შექმნის მიზანია ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის განვითარებასთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება. აკადემიურ საბჭოზე განიხილება უნივერსიტეტის წინაშე არსებული გამოწვევები და უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებები და სხვა აქტუალური საკითხები.

2. აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი.

3. აკადემიური საბჭო მოიწვევა სემესტრში არანაკლებ ორჯერ. რექტორი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, განსახილველი საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე ნებისმიერ დროს მოიწვიოს აკადემიური საბჭო.

4. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია სხდომაზე შემუშავებული რეკომენდაციები მიაწოდოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, რომელთა გათვალისწინებაც მოხდება უნივერსიტეტის საქმიანობისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნებისთვის.

მუხლი 2. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა

1. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

ა) რექტორი;

ბ) ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;

გ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანი;

დ) ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;

ე) თითოეული სკოლის დეკანის მიერ განსაზღვრული ორი აკადემიური პერსონალი;

ვ) სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი;

ზ) სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი.

2. აკადემიურ საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელსაც დამსწრეთა უმრავლესობით პირველივე სხდომაზე ირჩევს აკადემიური საბჭო. აკადემიური საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს ოქმის წარმოებას.

დანართი

აკადემიური საბჭოს შემადგენლობა და საქმიანობის წესი

მუხლი 1. აკადემიური საბჭო

1. რექტორთან იქმნება სათათბირო ორგანო აკადემიური საბჭო. აკადემიური საბჭოს შექმნის მიზანია ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის განვითარებასთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება. აკადემიურ საბჭოზე განიხილება უნივერსიტეტის წინაშე არსებული გამოწვევები და უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებები და სხვა აქტუალური საკითხები.

2. აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი.

3. აკადემიური საბჭო მოიწვევა სემესტრში არანაკლებ ორჯერ. რექტორი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, განსახილველი საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე ნებისმიერ დროს მოიწვიოს აკადემიური საბჭო.

4. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია სხდომაზე შემუშავებული რეკომენდაციები მიაწოდოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, რომელთა გათვალისწინებაც მოხდება უნივერსიტეტის საქმიანობისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნებისთვის.

მუხლი 2. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა

1. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

ა) რექტორი;

ბ) ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;

გ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანი;

დ) ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;

ე) თითოეული სკოლის დეკანის მიერ განსაზღვრული ორი აკადემიური პერსონალი;

ვ) სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი;

ზ) სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი.

2. აკადემიურ საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელსაც დამსწრეთა უმრავლესობით პირველივე სხდომაზე ირჩევს აკადემიური საბჭო. აკადემიური საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს ოქმის წარმოებას.